საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მამალაძე მარინა თეიმურაზის ასული

მ. მამალაძე

მამალაძე მარინა თეიმურაზის ასული (დ. 22. XI. 1957, თბილისი), სტომატოლოგი. მედ. მეცნ. დოქტორი (1999), პროფესორი (2002), საქართვ. ეროვნ. პრემიის ლაურეატი (2012).

1979 დაამთავრა თსსი. 1984–95 იყო ამავე ინ-ტის თერაპიული სტომატოლოგიის კათედრის ასისტენტი, 1995–2002 – დოცენტი, 2002–09 – პროფესორი. 2009-იდან ხელმძღვანელობს თსსუ-ის ოდონტოლოგიის დეპარტამენტს. 1994-იდან – სტომატოლოგიური კლინიკისა და სასწ.-კვლ. ცენტრ ,,უნიდენტის“ დირექტორია. 2007-იდან – საქართვ. ჯანდაცვის სამინისტროს ექსპერტ-სტომატოლოგი, საქართვ. სტომატოლოგთა პროფ. ასოციაციის პრეზიდენტი, საქართვ. ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოც. დაცვის სამინისტროს სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელი. 2010-იდან არის თსსუ-ის აკად. საბჭოს, 2013-იდან – ჟურნალ ,,Dent Art“-ის სარედაქციო საბჭოს, 2017-იდან კი – საქართვ. მეცნ. ეროვნ. აკადემიის ექსპერტი. 2013 აირჩიეს „სტომატოლოგთა საერთაშ. კოლეგიის“ წევრად. 2020-იდან კოლეგიის ევროპის სექციის ერთ-ერთი ვიცე-რეგენტია.

მ. არის მრავალი სამეცნ. ნაშრომის, მ. შ. 1 ძირითადი და 5 დამხმარე სახელმძღვანელოს, დაავადებათა მართვის ეროვნ. პროტოკოლებისა და სამედ. განათლების ავტორი და

განმახორციელებელი.

მ-ის სამეცნ. კვლევის სფეროა: კბილთა რესტავრაცია და ენდოდონტური მკურნალობა, სტომატოლოგიური მასალათწარმოება, გაუტკივარებისა და სედაციის პრობლემები სტომატოლოგიაში, კბილთა და სარესტავრაციო მასალების ელექტრონულ-მიკროსკოპული კვლევა და სხვ.

მ. არის მრავალი საერთაშ. სამეცნ. კონფერენციის, სემინარის, კონგრესის მონაწილე, მომხსენებელი, ორგანიზატორი და განმახორციელებელი.